წერილის ნომერი: **15-152308115**
თარიღი: **22/03/2023**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“ თავმჯდომარეს
ბატონ ელგუჯა ბაგრატიონს

(მისამართი: ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის №37)

ბატონო ელგუჯა,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირებული (№07-15230681-15; 9.03.2023) თქვენი (№09-02-16/112; 7.03.2023) წერილის პასუხად წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

1. 2022 წელს ევროპის ქვეყნებში მივლინების ხარჯების ოდენობისა და ქვეყნების დასახელების მიხედვით, თანახმად დანართი 1-სა;

2. გაცნობებთ, რომ საკრებულოში არ ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი და არ შემუშავებულა/განხორციელებულა შესაბამისი პროგრამები/პროექტები. ხოლო საკრებულოს აპარატში პროტოკოლისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში დასაქმებულია 3 თანამშრომელი. გეგზავნებათ მათ შესახებ მონაცემები, თანახმად დანართი 2-სა.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სხვა ინსტიტუციების/ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული/ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ გაცნობებთ:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2022 წლის დასაწყისში გაიმარჯვა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით მიმდინარე ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“. კონკურსში გამარჯვებული მუნიციპალიტეტისთვის პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შექმნასა და მათ დანერგვას, რისთვისაც ბათუმის მუნიციპალიტეტს გადმოეცემა გრანტი 200,000.00 ევროს ოდენობით. პროექტის მიზანია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა რესურსები, შესაძლებლობები და არსებული პარტნიორული კავშირები, რათა მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და დინამიურად მართოს მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის განვითარების ეტაპები, მოზიდულ იქნას დამატებითი რესურსები, შეიქმნას ინფორმაციის გავრცელების და ხელმისაწვდომობის მდგრადი და მოქნილი სისტემა, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები, როგორც ტრანსფორმაციული ინტერვენცია სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისთვის ბათუმში.

ბ) ქალაქი ბათუმი იღებს მონაწილეობას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) „მწვანე ქალაქების“ პროგრამაში. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ქალაქი ბათუმი (CoB) მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს მისი გარემოსდაცვითი და მდგრადობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით, ეს ეხება წყალსა და კანალიზაციის სისტემაში განხორციელებულ ინვესტიციებს. EBRD-ს მწვანე ქალაქების ფარგლებში ქალაქ ბათუმმა მხარდაჭერა მიიღო გლობალური ინჟინერიის, დიზაინისა და საკონსულტაციო ფირმისგან - AECOM მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის (GCAP) შესამუშავებლად. GCAP-ის დასრულება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ბათუმისათვის, გამოჰყოს ყველაზე აქტუალური გარემოსდაცვითი გამოწვევები, მიიღოს გადაწყვეტილება მათი პრიორიტეტებად დალაგების კუთხით და განსაზღვროს მათი აღმოფხვრის გზები. ამავდროულად, შეიმუშაოს ხედვა და განახორციელოს პროექტები, რათა ბათუმისთვის მწვანე მომავალი რეალობად იქცეს.

გ) გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება - ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხის დაფარვა წელიწადში ორჯერ არაუგვიანეს 20-30 ივნისისა და 20-30 დეკემბრისა. სესხის მომსახურების პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებით. აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია. რომელიც მოიცავს შემდეგ ფაზებს: 1. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის I ფაზა (KfW) - სესხის ვადა 40 წელი, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი - 10 წელი. ძირითადი თანხის გადახდა დაიწყო 2017 წლიდან. საპროცენტო განაკვეთი ათვისებულ თანხაზე - წლიური 0.75%. საპროცენტო განაკვეთი აუთვისებელ თანხაზე - წლიური 0.25%. გადახდა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; 2. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის II ფაზა (KfW) - სესხის ვადა 20 წელი, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 5 წელი. ძირითადი თანხის გადახდა დაიწყო 2014 წლიდან. საპროცენტო განაკვეთი ათვისებულ თანხაზე - წლიური 2%. საპროცენტო განაკვეთი აუთვისებელ თანხაზე - წლიური 0.25%. გადახდა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; 3. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის III ფაზა (KfW) - სესხის ვადა 11 წელი, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 3 წელი. ძირითადი თანხის გადახდა დაიწყო 2015 წლიდან. საპროცენტო განაკვეთი ათვისებულ თანხაზე - წლიური 4.2%. საპროცენტო განაკვეთი აუთვისებელ თანხაზე - წლიური 0.25%. გადახდა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის III ფაზა - სანიაღვრე (KfW) - სესხის ვადა 41 წელი, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 10 წელი. ძირითადი თანხის გადახდა დაიწყება 2022 წლიდან. საპროცენტო განაკვეთი ათვისებულ თანხაზე - წლიური 0.75% (2988339 ევრო) და 4.2% (4000000 ევრო). საპროცენტო განაკვეთი აუთვისებელ თანხაზე - წლიური 0.25%. გადახდა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; 4. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის IV ფაზა (KfW) - სესხის ვადა 15 წელი, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 5 წელი. ძირითადი თანხის გადახდა დაიწყო 2020 წლიდან. საპროცენტო განაკვეთი ათვისებულ თანხაზე - წლიური 1.65%. საპროცენტო განაკვეთი აუთვისებელ თანხაზე - წლიური 0.25%. გადახდა ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

დ) მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროექტი - დამფინანსებელი ორგანიზაცია - ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) - პროექტის მიზანს წარმოადგენს მდგრადი და დაბალემისიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება. პროექტის ფარგლებში 2009 წლიდან 2021 წლამდე ჯამში შემოყვანილ იქნა 108 ერთეული ავტობუსი, მათ შორის 40 ერთეული EUR5 სტანდარტის დიზელის ავტობუსი (2018 წელს) და 8 ერთეული ელექტრო ავტობუსი (2020 წელს), რომლითაც ქ. ბათუმი პირველია სამხრეთ კავკასიაში სადაც ელექტრო ავტობუსები მოძრაობენ.

ე) ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ბათუმისა და აჭარის რეგიონისთვის (ISTBAR) - დამფინანსებელი ორგანიზაცია - ევროკავშირი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების ფონდი (EU,UNDP) - პროექტის მიზანს წარმოადგენდა მდგრადი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება. პროექტის ფარგლებში ქალაქის ცენტრში მოეწყო 3.8 კილომეტრის სიგრძის სპეციალური ავტობუსების სავალი ზოლი (ე.წ BUS LINES), რომელიც ველოსიპედით მოსარგებლეთათვისაც არის განკუთვნილი. ასევე, დამონტაჟდა 30 ერთეული ფერადი ელექტრონული საინფორმაციო დაფა ავტობუსების გაჩერებებზე. გარდა ამისა, ბათუმის სხვადასხვა ლოკაციაზე მოეწყო შვიდი ახალი საათობრივი ფასიანი პარკირების ზონა, რათა ქუჩები გაათავისუფლოს ქაოტური პარკირებისგან. პარკირების ზონები ჯამში 230 მანქანას იტევს და აღჭურვილია ციფრული ტექნოლოგიით.

ვ) „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება საქართველოში“ - დამფინანსებელი ორგანიზაცია - სადემონსტრაციო პროექტი ფინანსდება საგრანტო ფონდებით, რასაც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო KFW ბანკი უზრუნველყოფს - პროექტის საერთო მიზანია გააუმჯობესოს ენერგოეფექტურობის მახასიათებლები ბათუმში არჩეულ საჯარო შენობებში (საბავშვო ბაღებში), უზრუნველყოს შენობების კონსტრუქციული მდგრადობა და გააუმჯობესოს კომფორტის პირობები (სწავლა, მუშაობა და ცხოვრება) შენობათა მომხმარებლებისთვის. მომავალში მიღწეული ენერგიის დაზოგვა ხელს შეუწყობს ბათუმში სათბურის აირების (GHG) ემისიების შემცირებას და მდგრად განვითარებას.

ზ) 2023-2027 წლების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა - დამფინანსებელი ორგანიზაცია - გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შეიმუშავა 2023-2027 წლების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტს - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 10 მარტს მიიღო გადაწყვეტილება კანონპროექტის შემდგომი საკანონმდებლო განხილვების შეწყვეტის შესახებ.

პატივისცემით,

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი